სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის

საარჩევნო კომისია

თსსუ -ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის

2024 წლის 18 აპრილის არჩევნების

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 18 აპრილი 2024 წელი

არჩევნები ჩატარდა ქ. თბილისში, ვაჟა–ფშაველას გამზ. N33. თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის, მეორე სართულზე არსებულ „საკონფერენციო დარბაზში - 3“ სადაც განთავსდა საარჩევნო სია და კენჭისყრის კაბინა.

არჩევნები გაიმართა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების (დამტკიცებულია თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N23/3 დადგენილებით) მიხედვით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

საარჩევნო უბანი გაიხსნა 17:34 საათზე. კენჭისყრამდე დაილუქა საარჩევნო ყუთი.

კენჭისყრა დაიწყო 17:36 საათზე.

კენჭისყრის დაწყებამდე გაიხსნა საარჩევნო ყუთის ლუქი, შედგა შესაბამისი ოქმი და ყუთში მოთავსდა პირველი ამომრჩევლის ბიულეტენი საკონტროლო ფურცელთან ერთად.

კენჭისყრა მიმდინარეობდა დადგენილი მოთხოვნების დაცვით. რაიმე ინციდენტს ადგილი არ ჰქონია. არ შემდგარა დარღვევის ოქმი.

კენჭისყრა დასრულდა 17:53 საათზე. ბიულეტენები დათვლილი იქნა დადგენილი წესით. ბიულეტენების დათვლის საფუძველზე დადგინდა შემდეგი მონაცემები:

თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილი 21 წევრიდან, სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით რეგისტრაცია გაიარა და ხმა მისცა 19 პირმა, რაც შეადგენს სიითი რაოდენობის 90,5 %-ს.

ბიულეტენების დათვლის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილე კანდიდატზე ხმების რაოდენობა გადანაწილდა შემდეგი სახით:

ბიულეტენების საერთო რაოდენობა ---21---

ხათუნა თოდაძე 18

გათილად იქნა ცნობილი -1- ბიულეტენი.

კენჭისყრის შედეგების საფუძველზე თსსუ-ის საარჩევნო კომისია ადგენს:

ჩატარებულად ჩაითვალოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები.

1. **თსსუ-ის ხარისიხსის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა პროფესორი ხათუნა თოდაძე.**

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნ. თევზაძე

კომისიის მდივანი ლ.ზიბზიბაძე

კომისიის წევრები: ს. ბერია

ვ. ბეროშვილი

ა. ნიშნიანიძე